ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4390384

ნომერი: AR1662217

თარიღი : 16.02.2019

გაცემის თარიღი : 26.02.2019

გაცნობის თარიღი : 05.03.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ისნის , N 18;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კეკელია პ/ნ 01001052309
- იპოლიტო ივანოვის 30

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: ს-1/24
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 22.03.2007

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი კეკელია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამირ თავასოლი

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018003979

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 560.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 278.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1340.1
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 754.9
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 142.7
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 233.4
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 209.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3781.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2753.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1028.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 16.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 12.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 278 კვ.მ კ1=0.43
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 755 კ2=1.2
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 100კვ.მ=0.16

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1306215
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 13.06.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1306215
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.06.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.
"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის,
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება. პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

- წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი განმარტებითი ბარათი სადაც დეტალურად იქნება აღწერილი კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოები.
- კორექტირებული დოკუმენტაციის მიხედვით, შეცვლილია შენობის ადგილმდებარეობა მიწის ნაკვეთზე, შედეგად 5-1 ფასადზე მდებარე ფანჯრები საზღვრიდან 5მ-ზე ნაკლებითაა დაშორებული და ირღვევა სამეზობლო მიჯნის ზონა.
- წარმოდგენილი უნდა იქნას პროექტის ავტორის, შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა, მის კორექტირებასთან

დაკავშირებით.
- ველში ,,ფუნქციური დანიშნულების სახეობა'' დაზუსტდეს საპროექტო შენობის ფუნქციური დანიშნულება.
- წარმოდგენილი იქნას სრულყოფილი გენგეგმა, ობიექტის საკადასტრო საზღვართან მიბმის მანძილებით და ნიშნულებით. გარკვევით იქნას აღნიშნული ღერძები და მათ შორის მანძილები, მასზე ასევე ნაჩვენები იქნას ნაკვეთის კეთილმოწყობა, გამწვანება.
- წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა. მათ შორის შორი ხედებიდან (საერთო ხედით მომიჯნავე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთან ერთადაც რომ გამოჩნდეს)
- წარმოდგენილი უნდა იქნას კონსტრუქციული დასკვნა, მომიჯნავე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი) მდგრადობისა და განხორციელებული მშენებლობის მასზე გავლენის შესახებ.
- წარმოდგენილი უნდა იქნას სრულყოფილი გეგმები, მათზე მითითებული იქნას ნიშნულები, კიბის მიმართულებები, შიდა გეგმარება, ექსპლიკაცია. ამასთან კედლები გრაფიკულად ნაჩვენები იქნას შევსებული ხაზით.
- გეგმაზე ნაჩვენები იქნას ჭრილის ხაზები.
- წარმოდგენილი იქნას კორექტირებით გათვალისწინებული ფოტომონტაჟები.
- ფასადზე მითითებული იქნას საღებავის ფერები RGB ან RAL კოდების მეშვეობით.
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 22/02/2019 წ. №13-01190533196 წერილით არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია შეთანხმებული პროექტის დარღვევით. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო – სამართალდარღვევის საქმეზე.

ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.